18 (30) მარტი, 1866.

№ 3.

პირველი წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ბალავინის პროსპექტზედ, ქ. ზუბალოვის სახლში. —

ტფილისის გარეშე მცხოვრებლათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

გაზეთის ფასი:

| | ბაგზავნით ტფილისში | | |

სამეფოში; ზოგნი სწერენ, ვითომც ის შეჰყავთ პოდოლის გუბერნიაში, ანუ აგროვებენ მდინარის პრუტის ახლო. ამაზედ ისეთის დარწმუნებით სწერენ, რომ თვით პეტერბურგშიაც კი გამოვიდა ამისთანა ხმა.

ნამდვილის ფაკტების ძალით შეგვიძლიან დარწმუნებით გამოვაცხადოთ, რომ სამხედრო უწყებას აქამომდე არაფერი განკარგულება არა მოუხდენია რა, რომელიც კი ამართლებდეს ჩვენის ჯარის შეკრებას რომელსამე პუნკტზე; ყველა ჯარი თავის საზამთრო ადგილში იმყოფება. ძნელი მოსაზრებელიც არის საიდამ უნდა იყოს გავრცელებული ამისთანა ტყუილი ხმები თუ არ მეჭორეებთაგან, რომელთაც სურთ საზოგადო აზრი შეარყიონ.

პოლიტიკა.

ფრანცია. სჯულის-დამდებს კრებაში, 14 (26) თებერვალს ადრესზედ(*) ბაასი უ. ტიერმა დაიწყო გძელის სიტყვით. თავდაპირველათ ტიერმა სთქვა, რომ ფრანციის რევოლუციან დაამყარაო თავისუფლება და თანასწორება, და სახელმწიფოს მმართველობა დააფუძნაო ხალხის უზენაესს უფლებაზედ; ეს რევოლუცია მხოლოთ დესპოტობას დაამკვიდრებდაო, რომ ხალხის უზენაესს უფლებას დინასტიის დაარსების მეტი არა მოეხდინა რაო. რევოლუციას ის განზრახვა ჰქონდაო, რომ ხალხის უზენაესი უფლება დაემკვიდრებინაო. ამისთვისაც ყოველი მოქალაქე დაცული უნდა იყოს მმართებლობის თვით-ნების მოქმედებისაგან. თვითოეულს მოქალაქეს 1789 წლის პრინციპების (**) ძალით შეუძლიანო დევნა იმ მოხელეს კაცისა, რომელიც უკანონოთ იქცევა. ახლა კი ეს უფლება წართმეული გვაქვსო. აზრის გამოსათქმელათ უნდა არსებობდესო დაბეჭდილის სიტყვის თავისუფლება, რომელსაც ახლანდელი კანონი უარ ჰყოფს. როდესაც ორატორი ამბობდ:, რომ დაბეჭდილის სიტყვის ბოროტათ ხმარება ბეჭდითვე განიკურნებაო, იმას რამდენჯერმე შეაწყვეტინეს სიტყვა; ვინც დუმილი დაარღვია, იმათ დეპუტატმა ემილ ოლივიემ მოსთხოვა, რომ გაჩუმებულ-იყვნენ და ამასთანავე გამოაცხადა: მესრულებით თანახმა ვარო ტიერის აზრისა. შემდეგ ტიერმა ილაპარაკა ამორჩევის თავისუფლებაზედ და შეყრილობის უფლებაზედ, და განკიცხა მმართებლობა, რომელსაც ჩვეულებათ აქვს თავისის კანდიდატების წარმოდგენა სჯულის-დამდებს კრებაში დეპუტატების ამორჩევის დროს. იმან მოითხოვა აგრეთვე მინისტრების პასუხის-მგებელობა. როდესაც პარლამენტის სისტემაზედ დაიწყო საუბარი, იმან მაგალითათ მოიყვანა ბელგიელების კაროლი, რომელიც თავისუფალის მმართველობის დაწესებით თვითონაც დამკვიდრდა ტახტზედ და სახელმწიფოსაც წარმატება მიანიჭა. ტიერის სიტყვით ლაპარაკათ არა ღირს ის თეორია, რომელიც ამტკიცებს, ვითომც უფლება და თავისუფლება ერთი მეორეს ეწინააღმდეგებოდეს. ორატორი ცდილობდა დაერღვია ის აზრი, ვითომც პარლამენტის წესი ფრანციაში გარედამ იყოს შემოტანილი. ის ამტკიცებდა, რომ ფრანციაში პარლამენტური კონსტიტუცია ფრანციის რევოლუციიდამ წარმოსდგა, და როდესაც ამ ოცის, ოც და ათის წლის წინათ მთელი ევროპა მეცადინეობდა თავისუფალის მმართველობის დაწესებაზედ, ფრანცუზულის კონსტიტუციის გარდა სხვა კონსტიტუცია იმას მხედველობაში არა ჰქონიაო. 1852 (*) წლის აქეთ ყოველივე მმართებლობის მოქმედება ამტკიცებს, რომ პოლიტიკური თავისუფლება იმისთვის სასარგებლო და უშიშარია. მე არ მინდაო, განაგრძო ტიერმა, დაწვრილებით ვილაპარაკოო შორეულს ექსპედიციებზედ, ნამეტნავათ მეხიკაზედ, მაგრამ ამას ვფიქრობ, რომ ფრანცია ჩივილს არ დაიწყებდა, რომ ეს საქმე ჩაეშალა ვისმესო. რაც კი შეეხება შინაურს საქმეებს, დიდს და ძვირად ღირებულს შრომას, აგრეთვე მუშების საქმეს, ორატორმა სთქვა, რომ სჯულის-დამდებმა კრებამ ამ საქმეებში წინააღმდეგობა უნდა აღმოუჩინოსო მმართებლობას და ამითი დაიცვასო მხარე დიდის დაბრკოლებისაგან. ამ შემთხვევაში ტიერმა მაგალითათ მოიყვანა პრუსიის ხალხი, „შორს-გამჭვრეტი, სწავლული, განათლებული, კეთილშობილი და მხნე ერი“, რომელიც, თუმცა პატივის მოყვარეა, მაგრამ თავის თავს ხელში არ აძლევს მმართებლობას და ამბობს: „ნივთიერებითი დიდება, რა საკვირველია, დიდი რამ არისო, მაგრამ ჯერ მომეციო თავისუფლება, რომელიც ზნეობითს დიდებას შეადგენს და მასუკან ნივთიერებითი ძლიერება.“ ორატორმა თავის სიტყვა ამ ლექსებით გაათავა: „თავისუფალი ხალხი არის არსება, რომელიც ჯერ ფიქრობს და მერმე მოქმედებს.“

მეორეს დღეს ადრესზედ ბაასმა მოახდინა პარლამენტში იმ გვარი ღელვარება, რომელიც უწინ ხშირი იყო ფრანციაში პარლამენტურის მმართებლობების დროს, მაგრამ 1852 წელს აქეთ კი არ მომხდარა. ოპპოზიციის პარტიის დეპუტატი ბლე-ბიზუენი ისე გაცხარებულათ და მკაცრათ განკიცხვიდა იმპერატორის მმართებლობას, რომ პრეზიდენტი გრაფი ფალევსკი წამ და უწუმ მოაგონებდა იმას წესს და პროტესტს პროტესზედ გამოუცხადებდა. ამასთანავე კრებაში მოხდა დიდი აღრეულობა, ოპპოზიცია ისე თამამათ იქცეოდა და დეპუტატების უმეტესმა ნაწილმა ისე ხმა-მაღლათ დაიწყო ლაპარაკი, რომ გრაფს ფალესკის რა ექნა არ იცოდა. ბლე-ბიზუენმა სთქვა, რომ დეპუტატები, რომელთაც მმართებლობის მხარე უჭირავთ, მონაწილენი არიანო იმ დაცემულის ზნეობითის მდგომარეობისა, რომელშიაც ახლა ფრანცუზის ხალხი იმყოფებაო. ის ამტკიცებდა, რომ იმპერატორის პოლიტიკას არსად არ გაუმარჯვნია: დანიიდამ, ფარშავიდამ და რომიდამ დაწყებული—მეხიკამდე და ქონხინხინამდე. (**) ის განსაკუთრებით უჩვენებდა მეხიკაზედ და პუებლოსთან (***) დამარცხებაზედ. ორატორი უფრო გაფიცხდა, როდესაც ბუჯეტშედ გადავიდა და წარმოსთქვა, რომ იმპერატორის თხზულება იულის-ცეზარის ცხოვრებაზედ მხოლოთ იმითია შესანიშნავიო, რომ ლამაზათ არისო დაბეჯდილი. რესპუბლიკის მოშლა და ახლანდელის მმართველობის დაწესება, სთქვა ბლე-ბიზუენმა, ზარბაზნების შემწეობით მოხდაო, და ამასთანავე დიდის გაფიცხებით ილაპარაკა ფიცის დარღვევაზედ. იმან სთქვა, რომ გონების შემავიწროვებელი არისო ის განკარგულება, რომლისგამოთაც ზოგიერთს გაზეთებს საზღვარ გარედამ ფრანციაში არ უშვებენო.

უ. ბლე-ბიზუენის სიტყვის შემდეგ მოხდა ის ღელვარება, რომელიც ზევით იყო მოხსენებული. აი რა მოხდა:

რუე (სახელმწიფო მინისტრი) ბლე-ბიზუენს გააწყვეტინებს სიტყვას და ეტყვის: ეს პოლიტიკა კი არა, მასხაროობა არისო. (პალატაში საშინელი ხმაურობა მოხდა; ზოგიერთმა დეპუტატებმა დაიძახეს: წესი! წესი! სხვებმა მინისტრის სიტყვები მოიწონეს).

პელტანი (ოპპოზიციის დეპუტატი). ეს შეურაცხება ა

ჟულ-სიმონი (ოპპოზიციის დეპუტატი). არავის არა აქვს ნება, რომ დეპუტატი შეურაცხ-ჰყოს.

ერთი ხმა. დეპუტატებმა პატივი უნდა სცენ პალატას.

ბარნიე-პაჟე (ოპპოზიციის დეპუტატი). უ. მინისტრო, უკანვე მიიღეთ ეგ სიტყვა. (ასტყდა საშინელი შფოთი. დიდ-ხანს არა ისმოდა რა).

პიკარი (ოპპოზიციის დეპუტატი). უ. ბლე-ბიზუენს კი ნუ შეურაცხ-ჰყოფთ, უ. ტიერს ვაეცით პასუხი.

ბლე-ბიზუენი. დიდის სიძულილით უარს ვყოფ მინისტრის სიტყვებს. (ხანგძლივი ხმაურობა)

მრავალი ხმა: ქმარა! ქმარა! შეყრილობა უნდა დაიხუროს. პალატას ჰკითხეთ, უ. პრეზიდენტო!

პრეზიდენტი. შეყრილობის დახურვას თხოულობენ. ხმების კრეფას ვიწყებ.

ხმების უმეტესმა ნაწილმა პალატის დახურვა ისურვა.

პელტანი. ბევრმა ვერ გაიგო, რა საგანზედ ჰკითხეს იმათ და ხმა მოაგროვეს.

მრავალი ხმა. ახლა ესეც კიდევ! როგორ ვერ გავიგეთ!

პელტანი სიტყვის წარმოსთქმის ნებას თხოულობს.

ის ამტკიცებს, რომ პალატა შეყრილობის დახურვას არ თხოულობდაო.

პრეზიდენტი ამაზედ უპასუხებს: რადგანაც დეპუტატების რიცხვიდამ სამი მეოთხედი თხოულობს ბაასის გაწყვეტას, ამისგამო მე გამოგიცხადებთ, რომ შეყრილობა დაიხურება.

პელტანი. ეს ძალადობა არის. (აჩეულობა).

ერთი ხმა. ძალადობა თქვენს მხარეზედ არსი.

ჟულ-ფავრი (ოპპოზიციის დეპუტატი). ამ შემთხვევაში შეურაცხება და უმართებულება მოხდა; ერთიც და მეორეც სამინისტრო სკამებიდამ წარმოსდგა. (ხმაურობა).

პრეზიდენტი. თქვენ სიტყვის ნება არ მოგცემიათ და თუ ლაპარაკს დაიწყებთ, მე წესის დაცვას მოგთხოვთ.

რუე (სახელმწიფო მინისტრი). მმართებლობა ვალდებულია იძულებულ-ჰყოს, რომ იმას პატივი სცენ, და ჩვენ კიდეც შევასრულებთ ამას.

ბლე-ბიზუენი. თქვენ იმას პატივისცემას ვერ მოუპოვებთ, თუ დეპუტატებს შეურაცხება მიაყენეთ. (ხმაურობა).

რუე (სახელმწიფო მინისტრი). მთელის ნახევრის საათის განმავალობაში მმართებლობის აგრე სასაცილოთ აგდება, როგორც თქვენ ჰქენით, არ შეიძლება.

პიკარი. უ. მინისტრი თავის თავის წინაშე და პალატის ღირსების დასაცველათ ვალდებულია უკან მიიღოს თავისი სიტყვები.

ამ პარტიების შეტაკებას პარიჟში დიდი ყურადღება მიაქციეს. საზოგადოება ხელმეორეთ მოელოდა შეტაკებას; ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბლე-ბიზუენის მეგობრები შემდეგს შეყრილობაში დაკმაყოფილებას მოითხოვდნენ. მაგრამ 16 (28) რიცხვს შეყრილობა მშვიდობიანათ გათავდა, ასე რომ გეგონებოდათ, ორივე მხარე შეთანხმებულანო, რომ ამ შეტაკებისათვის მნიშვნელობა არ მიეცათ,

(*) 1852 წლის აქეთ ე. ი. იმპერატორის ნაპოლეონის III ხელმწიფობაში. 1851 წელს 2 დეკემბერს ნაპოლეონმა, რომელიც მაშინ რესპუბლიკის პრეზიდენტათ იყო, შესცვალა უწინდელი კონსტიტუნცია, მოსპო რესპუბლიკური მმართებლობა ფრანციაში და შემდგომს 1852 წელში გახდა იმპერატორათ.

(**) ქოხინხინი მხარე არის ინდოეთის აღმოსავლეთის ნახევარ-კუნძულზედ. აქ ფრანცუზებს ომი ჰქონდათ ამ უკანასკნელს დროში.

(***) პუებლო ქალაქი არის ამერიკაში, მეხიკის სახელმწიფოში.

შეერთებული დუნაის სამთავროები.

რუმინია.

შეერთებული დუნაის სამთავროები მდებარებენ ევროპაში ოსმალეთის ჩრდილოეთით. იმათ უჭირავთ 2,197 საგეოგრაფიო კვადრატის მილი მიწის სივრცე. მთლათ სამთავროებში ირიცხება 3,864,848 მცხოვრები. ვალახია ყოველს წელიწადში სულთანს ხარჯათ 5000 ქისა ფულს აძლევს და მოლდავია 3000 ქისას. თვითო ქისაში 500 პიასტრი გამოდის; ერთი პიასტრი ცოტათ შაურზედ მეტია. ახლა სულ ეს ჩვენ ფულზედ რომ გამოვიანგარიშოთ, გამოდის რომ შეერთებული დუნაის სამთავროები ყოველს წელიწადს 224,000 მანეთს აძლევენ პორტასა. (*) წარსულის წლის გასულს სახელმწიფო ვალი 93,775,000 პიასტრამდის ადიოდა. აპრილში 150 მილიონი პიასტრი ისესხეს და ამ ცოტა ხნის წინათ კიდევ 40 მილიონი. ამ ნაირათ სახელმწიფო ვალი 283 მილიონამდის ავიდა. 1865 წლის ბუჯეტში (შემოსავალ-გასავალის დავთარი), რომელიც პალატაში განიხილებოდა, შემოსავალი 159, 166, 677 პიასტრი არის ნაჩვენები; მაგრამ წლის განმავალობაში მაინც გასავალი საოცრათ მეტი შეიქნა შემოსავალზედ. ამ სამთავროებში აქამდის მთავარი ქუზა განაგებდა; მაგრამ ამ ცოტას ხანში იმას საერო ხაზინის უთავბოლოთ გაბნევა დასწამეს. ხალხში გავიდა ხმა, ვითომც იმას ამ უკანასკნელს დროში თავის გავლენით ისეთი დეპუტატები ამოერჩევინებინოს პარლამენტისათვის, რომელნიც იყვნენ იმისნი მორჩილნი და თითქმის ქრთამითაც აძლევდაო დაბალს კაცს მაღალ ხარისხის წოდებასაო. გარდა ამისა მთავრობის მოხელეებს ჯამაგირს სრულათ არ აძლევდაო და ამასთან სახელმწიფო ვალში უთავბოლოთ შეყავდა. ეს იყო მიზეზი, როგორც გვესმის, ქუზას ტახტიდგან გადაგდებისა.—

— როდესაც შემთქმელებმა მთავრის ქუზას შეპყრობა დააპირეს, იმათ ისე მოახერხეს, რომ სამის გარდა ყველა ბუხარესტის გარნიზონის შტაბ-აფიცრები მიიმხრეს. ეს სამი შტაბ-აფიცერი პოლკოვნიკმა ბარალამბმა საღამოთი პროფერანსზედ მიიწვია 22 თებერვალს. მერმე თავის სტუმრებს ღვინოც მიართვა და ნაშუალამევის ორს საათზედ ისინი დაატუსაღა. ამის შემდეგ პოლკოვნიკი ბარალამბი, გენერალი ბოლესკო და მაიორი ლეკა ჩასხდნენ ეკიპაჟში, იმათ თან გაჰყვნენ სხვანიც, ეთქმულობაში თანამოზიარენი რომ იყვნენ, თხუთმეტი პოლშელი თავიდგან ფეხებამდის შეიარაღებულნი და წავიდნენ მთავრის ქუზას სასახლეში. იქ ყარაულებათ მაიორის ლეკას პოლკის სალდათები იდგნენ. იმათ შიგნით სასახლეში შესვლა შემთქმელებისთვის არ დაუშლიათ. მთავრის მოსასვენებელის ოთახების მახლობლათ კარები ჩაკეტილი დაუხვდათ და უნდა ჩაემტვრიათ. მთავრის ადუტანტი, რომელიც იმათ წინ მოეგება, შეკრეს და შეცვივდნენ საწოლში. შემთქმელებმა მთავარს მოსთხოვეს, რომ იმას ჩაეცვა ის ტანთსაცმელი, რომელიც შემთქმელებმა თან წამოიღეს, რადგანაც ეტყოდნენ: „შენ არა ხარ ღირსი მუნდირისა, რომელიც შენის ცუდის გამგეობით გაგიუპატივრებიაო.“ მერმე მთავარს გულში დამბაჩები მიუღერეს და თან ეუბნებოდნენ, რომ ტახტზედ უარის ყოფისათვის ხელი მოეწერა, მაგრამ ის არ შეურებოდა. მაშინ მაიორმა ლეკამ უთხრა: „ან მოკვდი ეს არის და ან ხელი მოაწერე“. მთავარმა ხელი მოაწერა და იმათ ღალატობისათვის უსაყვედურა. მაიორმა ლეკამ უპასუხა: „ჩვენ შენთვის კი არ გვიღალატნია, ჩვენ სამშობლო ვიხსენით ცუდის კაცისაგან“.

(*) სულთანის სასახლეს და აგრეთვე მთელს ოსმალეთის იმპერიას პორტას ეძახიან.

(*) ხელმწიფის ტრონით-სიტყვაზედ პარლამენტი პასუხს მიუგებს ხოლმე. ამ პასუხს ადრესს ეძახიან. ადრესში პარლამენტი გამოაცხადებს, კმაყოფილია თუ არა მმართებლობის მოქმედებით. — სჯულის-დამდებს კრებაში განიხილებოდა ადრესი იმპერატორის ნაპოლეონის იმ ტრონით-სიტყვაზედ, რომელიც „დროების“ № 1 იყო დაბეჭდილი.

(**) პრინციპი — კანონი, საუძველი სწავლისა და აგრეთვე ცხოვრებისა, 1789 წლის პრინციპებს ეძახიან იმ აზრებს, რომელიც 1789 წელს დიდის ფრანციის რევოლუციის დროს იყო წარმოთქმული მმართთველობის წესზედ და ხალხის თავისუფლებაზედ და რომელიც ფრანციის სჯულ-დებაში შევიდა.

— 25 თებერვლიდგან იწერებიან: დროებითის მმართებლობის მოწოდებით 23 თებერვალს სენატის და სჯულთ-დამდების კრების წევრნი შეიყარნენ სატრონო ზალაში. კრებაში ბუხარესტის მიტროპოლიტი თავს იჯდა. ახლათ დადგინებული მინისტრები თავიანთ სამინისტრო სკამებზედ ჩამოსხდნენ, თავადი სტურძა კი საორატორო კათედრაზედ ავიდა და მოკლე სიტყვით უამბო კრებას, თუ როგორ მოხდა ეს საქმე. კრებამ იმას სამგზის ამისთვის მხიარულათ მიულოცა. მაშინ სტურძამ დროებითის მმართებლობის მაგიერათ წარმოსთქვა, რომ იმას, ესე იგი, დროებითს მმართებლობას, კიდეც მოეხდინოს, პარიჟის კონვენციის თანახმათ, განკარგულება, რომ რუმინის ტახტზედ ამოირჩიონ უცხო ქვეყნის იმისთანა პრინცი, რომელსაც შეეძლოს რუმინიის ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. დროებითი მმართებლობა იმედოვნეულობს თუ რომ ბელგიის კაროლის ძმას ლეოპოლდს II, გრაფს ფლანდრიისას, ამოირჩევენ რუმინიის ტახტზედ, რუმინიის ხალხი ბედნიერი იქნება. კრებამ ერთის ხმით დაამტკიცა ეს წინადადება. როგორც ისმის, ფლანდრიის გრაფი ამ გვარს მოწოდებაზედ უარს არის.

— ავსტრიის გაზეთების ტელეგრამმაში ბუხარესტიდგან იწერებიან: გუშინ ხალხმა ქალაქში ჩაიარა და ითხოვდა, რომ საერო გვარდია შედგენილ იყო. მინისტრი დიმიტრი ლეკა თანახმა შეიქნა ამაზედ. დროებითის მმართებლობის განჩინებით მოისპობა ყოველი ბეჭედის შემავიწროვებელი დაწესებაები. კუზას შემოსავალი, რომელიც იმას შტატით ქონდა გაწესებული, ახლა სულ სახელმწიფო ხაზინაში შედის.

— 15 თებერვალს ბუხარესტიდგან იწერებიან: ყოველს დაბრკოლებაებზედ უფრო ძნელი მოსაცილებელი დროებითის მმართებლობისთვის ის არის, რომ იმას ვერცხლის ფული ნაკლებათა აქვს. საზოგადო კასსაში (დახლში) ერთი გროშიც აღარ ამოჩნდა; სესხი, რომელიც მთავრის კუზას დროს უნდოდათ მოეხდინათ, იმედი არ არის, რომ ახლანდელს მდგომარეობაში მოხდეს. დროებითს მმართებლობას ძალიან გაუჭირდება ყოველს შემთხვევაში, რომ სრულათ მიინდოს ჯარისა და მოხელე კაცების (ჩინოვნიკების) გული, რადგანაც სრულათ ჯამაგირის ძლევის ღონე არა აქვს. აღრეულობის ნამჯვილი მოთავეები ძალიან გონიერათ მოიქცნენ, რომ დროებითი მმართებლობა შეადგინეს იმისთანა პირებისგან, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა საქმეში არა აქვთ. იმედი არ არის, რომ ბალესკოს, ბორალამბს და ქოტარჯიოს შეეძლოთ დიდის ხნობით გამგეობა. ახლანდელს დროში უზენაესი უფლება მინისტრების ხელშია. ისინი არიან სხვა და სხვა პარტიის მოთავენი და, ვინიცობაა ფლანდრიის გრაფმა გვირგვინზედ უარი სთქვა, კანდიდატებათ ემზადებიან. ყველა მინისტრებში მხოლოთ მაიორი ლეკა და უფ. რეზეტი არ აცხადებენ ამ გვარს პატივისმოყვარეობას, მაშინ როდესაც იოანე ლეკა, დიმიტრი ლეკა, იოანე კანტაკუზენი, მავროგენი და სტურძა ფიქრობენ ერთს რომელსამე სამთავროში მაინც ტახტი იშოვნონ. საკვირველია, რომ ამისთანა ხერხიანათ მოხდენილს შეთქმულობაში ამისთანა ერთი ერთმანეთის წინააღმდეგმა პირებმა მიიღეს მონაწილეობა. წელიწად ნახევარია იმას აქეთ, რაც შეთქმულობა მოხდა. შემთქმელნი მოთმინებით ელოდნენ იმ დროს, როდესაც მოახერხებდნენ ჯარის გადაყვანას თავის მხარეზედ. ყოველი ღონე-მოკლებული მინისტრობაც, რომელიც ყოველ—ჟამს ელოდა დათხოვნასა, ძალიან ეხმარებოდა, რომ შეთქმულობა კეთილათ გათავებულიყო. ეჰვი არ არის, რომ ამ ცოტას ხანში პარტიებს შუა ბრძოლა ისევ განახლდება. დუნაის სამთავროებში რა რიგათაც უნდა დატრიალდეს შემთხვევა, იმისი საბოლოოთ გათავება მაინც ყოველს შემთხვევაში იქნება დამოკიდებული იმაზედ, თუ როგორ გადასწყვეტენ ამ საქმეს მფარველნი სახელმწიფონი. ეს კი მართალია, რომ მფარველს სახელმწიფოებს შორის ფრანცია განსაკუთრებით უკმაყოფილო დარჩა სამთავროებში მოხდარის აღრეულობისგამო, რადგანაც ყოველი იმისი მეცადინეობა, რომ როგორმე მთავარი კუზა თავისის კაბინეტის გავლენას ქვეშ ყოლებოდა, როგორც მტვერი უეცრად გაიფანტა. თუმცა აქამდის შეერთებულს სამთავროებში დიდს სახელმწიფოების წარმომადგენელს კაცებს არავითარი ინსტრუქცია (დარიგება) თავიანთ სახელმწიფოებისაგან არ მიულიათ, მაგრამ ფრანციის კონსული უფ. ფილლო მაინც არ მალავს, რომ იმისი მთავრობა ძალიან შეწუხებულია მოხდარის აღრეულობისგამო.

ტელეგრამმები,

ჰეტერბურგში მიღებული.

ბუხარესტი, 22 თებერვალს (6 მარტს). მმართებლობამ გამოაცხადა კანონი 30 მილიონის ფრანკის სესხისათვის. მმართებლობამ ჰალატებს წარუდგინა სჯულის პროეკტი, რომ დაუეოვნებლივ დაწესდეს სახალხო გვარდია და შესდგეს ჯარი 4000 ვოლონტერებისაგან.

მილანი, 22 თებერვალს (6 მარტს). კუზა მოვიდა მილანს.

პარიჟი, 26 თებერვალს (10 მარტს). ფრანცუზული გაზეთი Memorial diplomatique იწერება, რომ ავსტრიის ჯარის შეკრება დუნაის სამთავროების საზღვარზედ ტეუილი არისო და დარწმუნებით ამბობენ, რომ ფრანცია და ავსტრია რუმინიის საქმეებში ერთი ერთმანეთთან კიდეც შეთანხმებულანო.

მონიტორში (ფრანცუზული გაზეთი) სწერენ, რომ დღეს ნაშუადღევს ორის საათის ნახევარზედ მოხდაო პირველი ერილობა კონფერენციისა დუნაის სამთავროების საქმეზედ.

ბუხარესტი, 28 თებერვალს (12 მარტს). პრინც ღესსენ-დარმშტატისას ალექსანდრეს, უჩვენებენ სხვა და სხვის მხრით როგოროთაც მომავალს რეგენტს დუნაის სამთავროებისას. რუმინიის დეპუტატები, რომელნიც პარიჟის კონფერენციაში არიან დანიშნულები, გავლენ სვალ ბუხარესტიდამ. უ. ბალლაცეანო წავა პარიჟს, როგორათაც რუმინიის აგენტი. ალექსანდრ გალესკო იმავე მინდობილებით ემგზავრება კონსტანტინოპოლს.

ფრანკფურტი მაინზედ, 25 თებერვალს (9 მარტს). „ფრანკფურტის ჟურნალში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა ვენიდამ დღევანდელის რიცხვით: ნასსაუს ღერცოგი მოვა დღეს ვენას. მინისტრების რჩევა ხშირათ არის. ჰრაგაში შეიყარნენ რჩევისათვის ბოლემიის კომენდანტები.

ტფილისში მიღებული ტელეგრამმები.

ჰეტერბურგი, 5 მარტს.

ნუ-იორკიდამ იწერებიან, რომ სამინისტრო სრულებით თანახმა არისო პრეზიდენტის პოლიტიკისა; მრავალმა რიცხვმა კონგრესის დეპუტატებისამ აღუთქვეს პრეზიდენტს თავიანთი შემწეობა.

სამხრეთს ქურთისტანში გამოჩნდა ძლიერი ხოლერა და ეგვიპტეშიაც ხელახლა ჩნდება.

ჰეტერბურგი, 9 მარტს.

პრუსიის გაზეთში Kreuz-Zeitung (ჯვარის გაზეთი) სწერენ, ვითომც ავსტრია და საქსონია საომრათ ემზადებიან. პირველი საშიშარი ნაბიჯი გადადგმული არისო, ამბობს ეს გაზეთი. ფინანსის მდგომარეობა ავსტრიას ნებას არ აძლევს, რომ აღჭურვა მხოლოთ დემონსტრაციისათვის (*) მოახდინოს. ამისგამო ავსტრიის აღჭურვა იმას უნდა მოასწავებდეს, რომ ეს სახელმწიფო სწორეთ ომის დაწყებას აპირებს. ამ გვარს გარემოებაში პრუსიის მმართებლობა ჰასუხის-გებაში შევა, თუ საომრათ არ მოემზადა; საქმე საშიშარს მდგომარეობაში არის.

ჰეტერბურგი, 11 მარტს.

გენერალმა ჩერნიაევმა გაგზავნა ბუხარის ემირთან (**) ჩინოვნიკი მშვიდობიანობრივის მინდობილებით. ეს ჩინოვნიკი დაიჭირეს და დაატუსაღეს ბუხარაში. ჩერნიაევმა ჯარი გადიყვანა სირ-დარიის მდინარის გაღმა და ემირს შეუთვალა, ვიდრე რუსის ჩინოვნიკი მთლათ და უვნებლათ არ დაბრუნდებაო, მე ჩემის ჯარით ბუხარისკენ მოვდივარო.

ტაშკენტელებმა (***) ისურვეს ხელმწიფე იმპერატორისათვის თავიანთი ერთგულება დაემტკიცებინათ და რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამას უკეთ მაშინ ასრულებენ, როდესაც შეუდგებიან დიდს საქმეს განთავისუფლებასას, რომელიც შეადგენს დიდებას მისის დიდებულების მეფობისას, იმათ გაანთავისუფლეს ყველა თავიანთი მონები და გამოაცხადეს მონობის სამუდამოთ გაუქმება.

ავსტრიის ელჩმა, რომელიც ანგლიის კარზედ იმეოფება, წაუკითხა დიდის ბრიტანიის უცხო ქვეყნის საქმეების მინისტრს ნოტა, (****) რომლითაც ავსტრია თავიდამ იცილებს ყოველს ჰასუხის-გებას, თუ ვინიცობაა იმას და ჰრუსიას შუა ომი ასტედა.

(*) როდესაც ხალხი გამოაცხადებს თავისს აზრს ან სურვილს შეყრილობით ან სხვა რამ მოქმედებით—ამას დემონსტრაციას ეტყვიან. დემონსტრაცია ნიშნავს აგრეთვე ჯარის ცრუ მოძრაობას ეტრის მოსატყუებლათ.

(**) ბუხარა არის ქალაქი და სამთავრო თურქესტანში, დასავლეთს აზიაში, კასპიის ზღვის აღმოსავლეთს მხარეზედ. — ემირი არაბულათ ნიშნავს მთავარს. — რუსებმა ამ უკანასკნელს დროში ვრცელი ადგილები დაიჭირეს თურქესტანში.

(***) ტაშკენტი ქალაქი არის თურქესტანში. ეს ქალაქი რუსებმა შარშან დაიჭირეს.

(****) ნოტას უწოდებენ ქალალდს, რომელსაც ერთი სახელმწიფო მეორეს გაუგზავნის რომელსამე საპოლიტიკო საქმეზედ.

არხი რიშა-ყალა

ზემო ყარაიის მინდვრის სარწყავათ. რიშა-ყალის არხი იმ განზრახვით გაიყვანება, რომ შეიძლებოდეს მორწყვა ვრცელისა და უწყლოს ზემო-ყარაიის ერთის ნაწილისა. ის არის დაწყებული წარსულის წლის დამდეგს და რადგანაც საქმე კარგათ მიდის, იმედი, რომ არხი დაიწყებს მუშაობას ამ ცოტა ხანში.

არხის სათავე არის მტკვარში, ძველის ციხის რიშა-ყალის მახლობლათ, რომელიც ტფილისიდამ 25 ვერსზეა. ამ ადგილიდამ არხი გაყვანილია მტკვრის პირათ, 4 ვერსის სიგძეზედ, მასუკან ერთბაშათ მიბრუნდება მარცხნივ, გადასჭრის მინდორს შუაში, მთელს იმის სიგძეზედ და მარცხნივ დასტოვებს $3\frac{1}{2}$ ვერსზედ ყარა-თაფის მაღლობებს. როდესაც $18\frac{1}{2}$ ვერსს გაიკლის არხი დაუახლოვდება მთებს, რომელნიც მინდვრებს ფარავენ ჩრდილოეთის მხრით და აქ ჩავარდება დაბლობში ანუ ბუნებითს აუზში, სადაც იმისი წყალი შეადგენს ტბას. სიგძე ამ ტბისა არის 5 ვერსამდე, სიგანე თითქმის 2 ვერსი.

არხის პირველი ნაწილი თავდება ტბასთან, მეორე იწყება იმავე ტბიდამ და მიმართავს იმ მთის ძირს, რომელიც ფარავს მინდორს, თვით დიდ ხევამდე, სალახლოს სოფლის პირდაპირ რომ არის. სათავიდამ აქამდის 40 ვერსზედ მეტია. არხი დანიშნულია მოსარწყავათ 30 ათასის დესეტინისა, რომელთაგანაც 14 ათასს მორწყავს პირველი ნაწილი, და 16 ათასს—მეორე.

არხის პირველი ნაწილი, რომლის წყალიც საკმაოა ორივე ნაწილის მოსარწყავათ, მოითხოვს, რა საკვირველია, მომატებულს ხარჯს და ძნელი გასაკეთებელიც არის ტეხნიკურის მხრით; სიგანე არხისა იცვლება 6 საჟენიდამ 8 საჟენამდე, სიღრმე კი—$2\frac{1}{2}$ არშინიდამ 3-ს არშინამდე; ერთს სეკუნდში არხს მოაქვს $1\frac{1}{2}$ კუბის საჟენი წყალი. საშუალო გამოანგარიშებით არხი დაეშვება ოთხ ვერშოკზედ ცოტა მეტათ თვითოეულს ვერსზედ, მაშინ როდესაც მტკვარი დაეშვება თვითოეულს ვერსზედ ერთი საჟენი, ასე რომ მტკვრის პირი თითქმის 17 საჟენით მაღლა არის იმ ადგილზედ, სადაც პირველი შტო არხისა თავდება. ამ ციფრებიდამ სჩანს, რა რიგათ მოირწყვება არხით ესრეთი დიდი ადგილი. მიწის სამუშაო არხის პირველის ნაწილისა შეადგენს 32 ათასს კუბის საჟენს; გარდა ამისა ამ ნაწილში იწარმოება ძალიან დიდი სადურბელო და რკინის სამუშაო საქმეები, როგორათაც პლოტინების გასაკეთებლათ მტკვარზედ, არხის სათავესთან, აგრეთვე 4 ხიდისთვის და ცშლუზისთვის, (საგუბარი) რომლებითაც დიდის არხის წყალი გადაეშვება მცირე რუებში.

უმთავრესის არხის მუშაობის გარდა, ამავე ნაწილში არის გათხრილი 17 მცირე სირწყავი და 17 შესაგროებელი რუები, რომელთაც აქვთ თავიანთი სათავე უმთავრესს არხში და არიან გაყვანილნი პირდაპირ მტკვრამდე. ეს რუები მორწყვენ მთელს მინდორს, რომელსაც გადასჭრიან ერთნაირს ზოლებათ: რუსა და რუსშუა თვითოეულს ზოლს აქვს 500 საჟენი სიგანე.

შეიძლება წარმოვიდგინოთ მთელი სივრცე სამუშაო ადგილებისა, როდესაც შევიტყობთ, რომ საზოგადოთ შეერთებული სიგძე არხებისა, რომლებიდამაც უნდა დარიგდეს წყალი, შეადგენს 150 ვერს სიგძეს და ამოდენივე სიგძე არის საჭირო იმავე წყლის გადასაგდებათ მორწყვის შემდეგ, ესე იგი, საზოგადო შეერთებული სიგძე ყველა არხებისა 300 ვერსზედ მეტია,—ეს სიგძე უდრის იმ მანძილს, რომელიც არის ტფილისიდამ შოთამდე.

ახლა ყოველივე ეს მუშაობა კარგათ მიდის; ორს მესამეზედ მომატებული მიწის სამუშაო დიდის არხისა კიდეც გათავებულია და მხოლოთ იმის ძირს და გვერდებს აკლია წინდათ გაკეთება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Садургло სამუშავო არხის სათავეში მიდის აგრეთვე დიდის წარმატებით; უკანასკნელს სამს თვეს ჩარჭობილია 125 ზედ მეტი დიდი სარები და 300 შპუნტის ფიცრები, გათავებულია სამი ხიდი და იმედი არის ცოტას ხანში შესრულდება ექვსი შლუზი.

Уველა მცირე რუები კიდეც დაწყებულია, წმინდათ გაკეთებას ბევრი მუშაობა არ დასჭირდება და ამის შემდეგ მომატებულს ნაწილში წყლის შეშვებაც შეიძლება. Თუ საჭიროება მოითხოვს შეიძლება არხმა დაიწყოს რწყვა მიწებისა ამ წლის ოკტომბრის დამდეგს და იმუშაოს ნოემბრის ნახევრამდე და ამის შემდეგ არხის მოქმედება შესდგება 1867 თებერვლის ნახევრამდე. Ამ დროდგან არხებში წყალი იმუშავებს თავისს რიგზედ, ასე რომ ყოველ კვირა, თვითოეულს დესეტინას ერგება წყალი 20 ათასის ვედრიდამ 30 ათას ვედრამდე.

სალიტერატურო ნაწილი

პეტერბურგიდამ.

Ჩვენს გაზეთში სხვა და სხვა სახელმწიფოების, სხვა და სხვა მთავრობისა და ხალხის საპოლიტიკო ამბები იქნება. Მთავრობისა და ხალხის ვითარების შესატყობლათ მკითხველმა უნდა შეიტყოს, შეიგნოს იმ მთავრობის ამბავი, იმ ხალხის ყოფა-ცხოვრება როგორ-ყოფილა უწინ და ახლა როგორი არის. Ამისთვის იმან უნდა იცოდეს, თუ რიგიანათ არა, როგორც სამართალია, მსუბუქათ მაინც ისტორია, გეოგრაფია, ხალხის ზნეობითი ლონე, იმისი სურვილი და მოწადინეობა, იმისი ლიტერატურა. Ამასთანავე ჩვენი ხალხის ვითარება და გარემოება, ჩვენი ყოფა-ცხოვრება უნდა ისე იცოდეს, როგორც კი შესაძლებელია, როგორც ჩვენის დროების სწავლას ეს შეჰფერის. Рადგანაც ქართულს ენაზედ, არა ფერი ამ გვარი არა გვაქვს რა, ყოველივე ეს „Დროებამ“ უნდა აცნობოს, აუხსნას, გაურკვიოს. Ეს უნდა ყოველთვის მხედველობაში გვქონდეს, თუ გვსურს, რომ ჭეშმარიტი სარგებლობა უჩვენოთ საზოგადოებას, მეტადრე სალიტერატურო ასპარეზზედ. Ამისი აღსრულება დიდი და ძნელი საქმეა. Სამძიმოა ამაების გამოთქმა, გულის სანაღველოა, მაგრამ მართალი კი არის; მართლის თქმა ყოველთვის სასარგებლო არის. Თუ „Დროებას“ ესმის ესა. თავისს საქმეს კარგათაც წაიყვანს; თუ არა, ძალიან ცუდი საქმე იქნება,

Рაც აქა ვთქვით, ის გაზეთს პირდაპირ შეეხება. Ახლა უნდა ვთქვა ჩემი აზრი, რომელიც მკითხველებს შეეხება, ესე იგი, გაზეთი იმათ, როგორ უნდა ეპყრობოდეს და მკითხველი-გაზეთს. Გაზეთს ექნება საქმე სხვა და სხვა გვარს მკითხველებთან. Ჩვენს მკითხველებს გაზეთმა უნდა აუხილოს თვალი, აჩვენოს და ჩააგონოს კაცობრივი, მღვიძარე, ნათელი აზრი, დაანახოს ის უმეცრება, რომელშიაც სულით და ხორცით ჩაფლულან.—Გადავიდეთ ჩვენ ქალებთან. Გაზეთს ისინი ახალ-ახალის ამბებისთვის წაიკითხვენ. Გაზეთმა ისეთი ამბები უნდა შეატყობინოს, რომ მართლათაც ღირდეს იმისი შეტყობა. Მართლა და ჩემ ნაწერზედ იქნება ვინმემ თქვას: რეცეპტს უწერს ჩვენს გაზეთს და მკითხველებს დარიგებას აძლევსო. Მაგრამ რა ვთქვა, ჩემო მკითხველნო? Рაც გინდათ დაარქვით ჩემს ლაპარაკსა. Მე მართალი სიტყვის თქმა მინდა და ვამბობ. Ჩვენს ქალებს, რა ველაპარაკოთ? Ისევ ის, რაც ქვემოთ მოხსენებულია და რაც ერთობრივ ჩვენს მკითხველებს შეეხება. Საკუთრათ ქალებს ის უნდა შეატყობინოს გაზეთმა, რომ თავიანთი ვალი შეიტყონ, რა ვალი ადევთ მშობლებს ჩვენს დროში, ჩააგონოს, რა ადგილი უნდა ეჭიროთ საზოგადოებაში და კაცობრიობაში, უნდა ჩააგონოს, რომ გულ-ხელ დაკრეფილი ჯდომა და უსაქმობა ადამიანის ღირსებას ამცირებს, ამდაბლებს. Ესეც უნდა ვთქვათ საკუთრათ უფრო ქალებზედ და საზოგადოთ ყველაზედ. Გაზეთმა უნდა იცოდეს ოსტატობა, როგორ დაელაპარაკოს, რომ შეაყვაროს კითხვა, როგორ შეახალისიანოს, მოაწყუროს სწავლა, გონების გამდიდრება და კაცური აზრის შემატება, ერთის სიტყვით, გაინტერესებული ჰყოს კითხვაში რა საკვირველია, არა თუ მარტო გაზეთისა, სხვა წიგნებისაც.

Ბლეხებზედ რა ვთქვა? Მთქვი, რომ გაზეთის არც დაბადება გაუგონიათ და არც იმის კითხვისთვისა სცალიანთ მეთქი. Მაგრამ იმათთვისაც კარგი იქნებოდა, რომ წაკითხვა შესძლებოდათ და მოეხერხებინათ.

Ერთობრივ, საზოგადოთ ჩვენ მკითხველებზედ ის უნდა ვთქვათ, რაც ზემოთ ნაწილ-ნაწილათ ვთქვით. Უნდა ვთქვათ, რომ გაზეთის ვალია ჩააგონოს მკითხველს, რომ კაცს ალალ-მართალი, კაცური ცხოვრება, ყოფა-ქცევა ჰქონდეს, თვითონ კაციც ალალ-მართალი იყოს და სხვასაც არ დაუშალოს ალალ-მართლობა, სხვის არმობის, უსამართლობის მიზეზი არ გახდეს. Ყოველი კაცი თავის ბედნიერებას, თავის სიკეთეს ეძებს. Თავის ბედნიერების და სიკეთის გულისათვის სხვა არ უნდა გააუბედუროს არც პირდაპირ საქმით და არც შორიდამ. Თავისი თავის ბედნიერება ისე უნდა იშოვნოს კაცმა, რომ სხვის არც ერთი წვეთი სისხლისა და ცრემლის დაღვრის მიზეზი არ გახდეს. Სიმდიდრეს ბევრნი შოულობენ, მაგრამ ალალ-მართლობით შოვნა მეტის მეტათ ძნელია. Уველამ იცის, ალალ-მართლობით ცხოვრება კარგი რამ არის, მაგრამ რჩენისთვის ეს ხელს არ მაძცემსო. Адამიანებმა არ იციან ამ მრუდე გზიდგან სწორე გზაზედ როგორ გადავიდნენ, ამ სიცრუიდგან რანაირათ გამოვიდნენ და სიმართლეში შევიდნენ,—ამ კაცის მჭამელობას როგორ მორჩნენ, რომ ძმური, მოყვარული ბედნიერი ცხოვრება მოიპოვონ. Аი ამ უბედურის მდგომარეობისაგან გამოყვანის ღონისძიება უნდა შეატყობინოს გაზეთმა; უნდა ჩააგონოს, რომ ყველას ერთ გვარათ, დიდსაც და პატარასაც, ბედნიერებაში სამართლიანი წილი უძევს, ბედნიერება ყველასი შეიძლება, თუ ადამიანებმა მოინდომეს; ბოლოს უნდა შეატყობინოს, თუ როგორ, რა ღონისძიებით უნდა იშოვოს ეს ბედნიერება.

Аქ მაგალითათ ორიოდე სიტყვას ვიტყვით. Ზემოთ გლეხები მოვიხსენეთ. Ჩვენ მკითხველებს, როგორც თითქმის ყველას Საქართველოში მცხოვრებს, გლეხებთან, მდაბალ ხალხთან, როგორც ჩვენ ვეძახით მუშა სოფლის ხალხს, ერთ-ერთი რამ საქმე აქვს ხოლმე. Ჩვენმა გაზეთმა უნდა ჩააგონოს, რომ ყველა კაცი გლეხს, მუშა კაცს კაცურათ, ძმურათ ეპყრობოდეს. Ჩვენმა გლეხებმა წიგნი არ იციან, არსად არ უსწავლიათ, მაგრამ სწავლა კი სურთ; იციან, რომ სწავლა კარგია. მაგრამ არა სცალიანთ სწავლისთვის. Გაუთლელები არიანო, ამბობენ, მაგრამ ამასთანავე ალალ-მართლები და სვინიდისიანები არიან; ღარიბნი არიან, მაგრამ შრომის მოყვარენი არიან, თითო ლუკმა პური ათის იმის წონა ოფლათ, სისხლათ და ცრემლათ უზით. Უბედური ყოფა-ცხოვრება აქვთ, მაგრამ გულით წმინდანი არიან. Გაზეთმა უნდა ჩააგონოს, რომ მკითხველმა თავისი ყოფა-ქცევა და ცხოვრება ისე წაიყვანოს, რომ გლეხ-კაცს გზა არ შეუკრას, არ დაუშალოს ბედნიერი ცხოვრება;—ისე წაიყვანოს მკითხველმა თავისი ყოფაქცევა, რომ გლეხსაც შეეძლოს სწავლა; ისე წაიყვანოს თავისი ყოფა-ქცევა, რომ გლეხსავით ალალ-მართლობა და სვინიდისიანობა ისწავლოს; გლეხსავით შრომა შეიყვაროს, რომ სხვის შრომით არ გამოდიოდეს და ჭეშმარიტ სიტყვათაებრ კაცურათ სჭამდეს პურსა: „ოფლითა შენითა სჭამდე პურსა“; როგორცა ვთქვი, გაზეთმა უნდა ჩააგონოს მკითხველსა, რომ გლეხის ბედნიერებას გზა კი არ შეუკრას—გაუადვილოს, შეეწიოს, რომ თავის სიცოცხლეში წინამძღვრათ ეს ქრისტეს სიტყვა მიუძღოდეს: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ და „იყვარებოდეთ ურთი ერთას“; Ესე იგი შეიყვარე ადამიანი, როგორც შენი თავი გიყვარს, და ერთმანერთი გიყვარდეთო.

Аი რამდენი რამ ჰმართებს გაზეთსა! Ეს არის, ჩვენო ჟურნალებო და გაზეთებო, თქვენი მნიშვნელობა და სამღთო ვალი. Ასე უნდა აღზარდოთ თქვენი მკითხველის სული, რომ წინა ჰქონდეს ჭეშმარიტება და უკან კვალი განათლებული. Მოდი და ამაებზე ნუ და ფიქრდები. Ამან დამაფიქრა ჩემი მეგობრის მხიარულებაზე და მოლოცვაზედ...

Ახლა ჩვენ მკითხველებისაკენ მივიქცეთ: როგორ მოეპყრობიან ახალს გაზეთსა? Ამ გაზეთსაც ისე იკითხვენ, როგორც აქამდინ სხვა და სხვა გამოცემულს წიგნებსა კი ხულობდნენ? Თქვენ ხომ მოგეხსენებათ რა ნაირი კითხვა იციან ჩვენებმა. Აიღებენ წიგნსა, თავით ბოლომდის გადიკითხვენ და მისდებენ. Არ დაფიქრდებიან და თავის თავს ანგარიშს არ მისცემენ, არ ჰკითხვენ, რა წავიკითხეთო, რა აზრებია ამ დაწერილშიო? Მე მგონია, წიგნებს უფრო ძილის მოსაგვრელათ კითხულობენ და მართლათაც, ქართული წიგნები თითქო სწორეთ ძილის მოსაგვრელათ იწერებოდეს. Თუ დასაძინებლათ არ წაიკითხვენ და ისე რაღა. Მე მინახავს, და ვის არ ენახვება, ისეთი ქალები, თავით ბოლომდინ ისე საჩქაროთ ჩაუბულბუღუნებიათ წიგნი, რომ იტყვით, ამასთან კითხვაში კაი გამოქნილი დიაკვანი შეარცხვინოს ღმერთმაო. Მეგონება მკითხველი დანაძლევებულია, ვინ უფრო მალე გაათავებს წიგნსაო. Არ შედგება ერთ-რამ აზრზე, არ დააკვირდება არას დროს რომელსამე ადგილს, მეორეთ არ გადიკითხამს, რომ შეიტყოს რამ. Ქვემოთ გამოსატანი სხოლიოსთვის, ვეება ვარსკვლავიან ციფრი რომ იჯდეს, განა დახედავს თუ, ეს აქ რათ უზისო? Თქვენ არ მომიკვდეთ! Ჩააყოლებს ბოლომდის და იქ კიდევ ისე არც გასმულს ხაზს დახედავს, არც ისევ იმ ვარსკვლავიან ციფრს. Იმ სხოლიოსაც ზედ მიაკერებს ხაზ ზემოთ დაბეჭდილს, თუნდა რომ ნახევარ-სიტყვითა თავდებოდეს. Ახლა მე თქვენა გკითხამ: ამისთანა სარეკელასავით ჭაპანწყვეტით კითხვიდამ, ან არა და ძილის მომგვრელ კითხვიდამ რა უნდა დარჩეს თავში, რა უნდა შეიტყოს ამ გვარათ წიგნის მკითხველმა? Ცხადია, რომ არაფერი. Ეს ძალიან დიდი ნაკლულევანებაა მკითხველებისა, ძალიან მოსაფიქრებელია და შესაღონებელია მწერლებისთვისა, რადგანაც ერთს დიდს სიძნელეს უმატებს. Ამ სიძნელის გასაადვილებლათ კარგი ოსტატობაა საჭირო.

Მაგრამ გაზეთის კითხვა ასე არ შეიძლება. Აქ მოკლეთა და მოკლეთ სხვა და სხვა ამბებია. Იმის გაგებისათვის ცოტა-ხანს შედგომა საჭიროა, ხანდა ხან ერთის რისამე შესატყობლათ ერთი და ისევ ორჯერ-სამჯერ და იქნება მეტათ უნდა წაიკითხო. Ცოტათ ტვინის გარჯა საჭიროა, ცოტათი უნდა შეურყიოთ მოსვენება ჩვენს განებიერებულს ტვინსა. რამოდენათაც შესაძლებელია ესა მკითხველზედ ჰკიდია; თვითონ გაზეთზედაცა ჰკიდია.

Ვნახოთ, დროება რას იტყვის „Დროებაზედ“ და მკითხველზედ.

Ახლა კი, ჩემო მკითხველო, ღმერთმა ხელი მოგიმართოს! Მე ვთქვი, რაც მინდოდა. Თავდაპირველათ გითხარი, რომ სალიტერატურო ასპარეზზედ მინდა ფეხი შემოვდგა და გავიმაგრო მეთქი. Ამაზედ კი პიროობას არ მოგცემ. Იქნება კიდევ გემუსაიფო, იქნება სრულებითაც აღარა გაიგონო რა ჩემგან.

Მიქელა Პეტრიძე.

Პეტერბურგი. 1866 წ. 21 იანვარს.

სახაზინო განცხადებანი.

Закавказскій Вѣстникъ, 1866, № 10.

1) Ინტენდანტის ოკრუგის სამმართველო (управленіе) გამოაცხადებს, რომ ამ 1866 წელში არის გადასატანი Სოხუმის მაგაზინიდამ პრავიანტი:

	ჩეტვერტი.	ფქვილი კრუპა.
Ზუგდიდში — —	1650	155
Ოქუმში — —	300	30
Წებელდაში — —	500	45
მთლათ	2550	230

Ამ პრავიანტის გადატანა უნდა დაიწყოს იმ დღიდამ, როდესაც კანტრაქტი შეიკვრება, და პირველის ნახევრის გადატანა უნდა გათავდეს 15 ივლისამდე და მეორე ნახევარი 1866 წლის 1 სეკტემბრამდე. Ამაზედ ტორგი დანიშნულია Ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში 14 აპრილს და პერეტორჟკა—18 აპრილს.

2) Ტფილისის გუბერნიის სამმართველომ დანიშნა გუბერნიის სამმართველოში Ტფილისის მცხოვრების Იოსებ Ყარაგოზოვის მოძრავის ქონების გასყიდვა. Ამ ქონებას შეადგენს მგელი და სხვა და სხვა სასმელების ჭურჭლები. Ეს ნივთეულობა დაფასებულია 109 მან. და 65 კაპ. და გაისყიდება 18 მარტს, 11 საათზედ.

4) Ზაკავკაზიის დამოუნაში 17 მარტს 10 საათიდამ და შემდეგს დღეებში, უქმების გარდა, გაიყიდება აუქციონით კონტრაბანდის ბამბეული საქონელი.

5) Ოზურგეთის უეზდის სამმართველოში გაისყიდება თ. Ანტონ ნაკაშიძის მამული, რომელიც არის გლეხის Გულოვან მუჯირის სარგებლობაში. Ეს ადგილი მდებარებს სოფელს Ბურიამთაში, და ისყიდება იმ შეოსავლით, რომელიც ახალის წესდებით გლეხების განთავისუფლებაზედ გლეხისაგან მებატონეს ერგება. Ტორგი დანიშნულია მომავალს 11 აპრილს და პერეტორჟკა—სამს დღეს იქით.

6) Სამეგრელოს მმართველობის სოვეტმა აცნობა უ. Ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორს, რომ Სამეგრელოს მმართველმა მიაქციაო ყურადღება იმ ხმას, ვითომც მეგრელებს, რომელნიც Სამეგრელოს გარეთ გადიან, ბილეთები უწესოთ ეძლეოდესთ და წინადადება მისცაო სოვეტს, რომ იმან განკარგულება მოახდინოს მეგრელებისთვის კანონიერათ ბილეთების მიცემაზედ. Სამეგრელოს მმაროველი სთხოვს გუბერნატორებს, რომ პოლიციებმა ფხიზელი ყურადღება იქონიონ იმ მეგრელებზედ, რომლების ბილეთებს ვადა გასვლიათ, და დაუყონებლივ გამოგზავნონ ისინი Სამეგრელოში; ვისაც პოლიცია იცნობს კეთილ-საიმედოთ ან თუ ადგილობრივი მცხოვრებლები თავდებათ დაუდგებიან, იმათ პოლიციას შეუძლიან მისცეს ბილეთი სამის თვის ვადით, იმ პირობით კი, რომ ამ ვადის განმავალობაში იმათ მოითხოვონ კანონიერი ბილეთები Სამეგრელოდამ. Აგისგამო Ტფილისის გუბერნიის სამმართველო, სამოქალაქო გუბერნატორის ბინდობილებით, მისწერს თავის ხელქვეით პოლიციის მთავრობას, გამოუცხადოს მეგრელებს, რომელნიც ტფილისის გუბერნიაში იმყოფებიან, რომ ისინი ამას იქით მიიქცევენ თხოვნით ბილეთების გამოსაცველელათ ადგილობრივს Სამეგრელოს ოკრუგის ნაჩალნიკებთან და თან გაგზავნონ ძველი ბილეთები და ფული, ერთის წლის ბილეთიბის ფასი. Ვინც სავაჭროთ არის წამოსული, იმის წლის ბილეთი ღირს სამ მანეთათ და უბრალო მუშისა ერთმანეთათ და ცხრა შაურათ Გარდა ამისა პოლიციამ თვალი უნდა ადევნოს, რომ მეგრელები უბილეთოთ არ იყვნენ და ვისაც ბილეთი არა აქვთ ან ვადა-გასრული ბილეთები აქვთ და არ შეუძლიანთ ახალი ბილეთები მოიპოვონ კანონიერის მიზეზებისაგამო, ისინი Სამეგრელოში გამოგზავნონ. Ამის იქით ბილეთების მიმცემნი პოვერნიები ალარ იქნებიან.

კერძოლოგიური განცხადება.

ჩიმიშკიანცის ამხანაგობისაგან.

Ჩიმიშკიანცის სათეატრო ამხანაგობას აქვს პატივი გამოუცხადოს Ტფილისის საზოგადოებას, რომ აღდგომის შემდეგ იქნება სომხურს ენაზედ ექვსი წარმოდგენა Ტფილისის სამოქალაქო თეატრში. Ვისაც სურს, შეუძლიან წინათვე მიიღოს თეატრის კასირისა Უ. პეტროვსკისაგან ექვსის წარმოდგენის ბილეთი ლოჟისა, კრესლისა და სკამისა. Ამ ექვსს წარმოდგენაში იქნება ექვსი ახალი პიესა: 1) ხათაბალა, 2) Ოსკან პეტროვიჩი სიზმარში, თხზულება სუნდუკიანცისა, 3) Ესეც შენი შუა-კაცობა, ანუ ზაკუსკა, სადილი და ვახშამი, თხზულ. Ტერ-ბრიქორიანცისა, 4) Იმერელი მახარე, თხზულ. სუქიანსიანცისა და 5) მეოთხე მოქმედება ვენეციის ვაჭრისა, თარგმ. ჩიმიშკიანცისა.

ტატო ბაბაშვილის სახლში, ტფილისში, ვერაზედ, სტანციის მახლობლათ, ისყიდება ახალი ოთხ-ადგილიანი დიდი სამგზავრო ტარანტასი. ფასის შეტყობა შეიძლება თვით პატრონისაგან. (1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18-го марта 1866 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.